ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 17232097**
თარიღი:**28/07/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“-ის დირექტორის ანგარიში 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“-ის დირექტორის ანგარიში 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ „ბორჯომის ზაქარია
ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“

წერილის ნომერი: **58-162320775**
თარიღი: **26/07/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. N5

თავმჯდომარეს ბ-ნ დავით ზაალიშვილს

ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის

სახელობის სამუსიკო სკოლის

დირექტორის მარინა ქიტიაშვილის

ა ნ გ ა რ ი შ ი 2022 წლის

მოგახსენებთ,რომ ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის **2022 წლის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 400900 ლარს. ხოლო შესრულებამ შეადგინა 400023 ლარი . მ.შ სახელფასო ფონდი: 332223 ლარი, კომუნალურის გადასახადები: 20894 ლარი,კულტურულ ღონისძიებებში გაიხრჯა 21700 ლარი, არაფინანსურ აქტივებში გაიხარჯა 9614 ლარი ,სხვა ხარჯი: 15592 ლარი

პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში 2022 წლის პირველ კვარტალში ირიცხებოდა 350 მოსწავლე.

სამუსიკო სკოლას ჰყავს ისეთი წარჩინებული მოსწავლეები რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ საერთაშორისო ,რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში და ფესტივალებში.

სამუსიკო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესში სისტემატიურად ტარდება სასკოლო ღონისძიებები კლასის კონცერტები,აკადემიური,სექციის, ღია კონცერტები ასევე სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2022 წლის მარტს თვეში მონაწილეობა მივიღეთ ქ.თბილისში ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონიას“ მიერ მე-8 საერთაშორის კონკურსში „ნორჩი ვირტუოზი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის 8 მოსწავლემ. რომელებმაც მიიღეს მაღალი საპრიზო ადგილები.

ქ. ბორჯომში ჩატარდა პიანისტ ვატო ჟორდანიას სოლო კონცერტი და მასტერ კლასები.

ქ.თბილისში მონაწილეობა მივიღეთ მე-7 საერთაშორისო კონკურს ,, წლის საუკეთესო დუეტში“სადაც მონაწილეობდა 2 მოსწავლე და მოვიპოვეთ პირველი ადგილი.

ქ. გორში მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის ეროვნულ კონკურს-ფესტივალ ,,მომავლის ვარსკვლავში“ სადაც მონაწილეობდა 4 მოსწავლე და მოიპოვეს მარალი საპრიზო ადგილები.

ანსამბლ ,,ოქტავამ“მონაწილეობა მიიღო ისრაელის ქ. ცფატში გამართულ საერთაშორისო ონლაინ საგუნდო ფესტივალში და დაჯილდოვდა დიპლომით-მაღალი დონის საშემსრულებლო ოსტატობისათვის და მიწვეულ იქნა ისრაელში კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

2022 წლის აპრილის თვეში ქ.თბილისში მონაწილეობა მივირეთ მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში ,, იპოვე შენი ვარსკვლავი“ სადაც მონაწილეობა მიიღო 11 მოსწავლემ და მიიღო მაღალი საპრიზო ადგილები.

2022 წლის მაისის თვეში ქ.თბილისში მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის მე-15 ეროვნულ კონკურს-ფესტივალში ,,მომავლის ვარსკვლავები“ სადაც მონაწილეობა მიიღო 8 მოსწავლემ და მიიღეს მაღალი საპრიზო ადგილები.

ქ.ახალციხეში მონაწილეობა მივიღეთ ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალში ,,სხვა საქართველო სად არის“სადაც მონაწილეობა მიიღო საგუნდო კოლექტივებმა.

ქ.თბილისში მონაწილეობა მივიღეთ ახალგაზრდა მუსიკოს - შემსრულებელთა ღია კონკურსში სადაც მონაწილეობა მიიღო 2 მოსწავლემ და მოპოვეს 1-2 ადგილები.

2022 ივნისის თვეში ქ.გორში მონაწილეობა მივიიღეთ საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მე-11 რეგიონალურ კონკურსში,სადაც მონაწილეობა მიიღო 14 მოსწავლემ და მოვიპოვეთ უმაღლესი ხარისხის დიპლომები.

2022 წლის ივლისის თვეში მონაწილეობა მივიღეთ ქ.თბილისში ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის მე-8 საერთაშორისო კონკურსში სადაც მონაწილეობდა 2 მოსწავლე და მოიპოვეს მაღალი საპრიზო ადგილები.

ქ.თბილისში მონაწილეობა მივიღეთ მე-3 საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსში ,,ნიჭიერი კლასიკოსები“ სადაც მონაწილეობა მიიღო 2 მოსწავლემ და მოიპოვეს მარალი საპრიზო ადგილები.

ქ. ბორჯომში მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მე-2 საერთაშორისო კონკურსა და მე-11 საერთაშორისო ფესტივალში სადაც მონაწილეობა მიიღეს 13 მოსწავლემ და მოიპოვეს მაღალი საპრიზო ადგილები.

2022 წლის ოქტომბრის თვეში ქ.ბორჯომში მონაწილეობა მივიღეთ თ. ამირეჯიბის სახ.მე-8 საერთაშორისო კონკურსში,სადაც მონაწილეობა მიიღო 3 მოსწაბლემ და მოიპოვეს მაღალი საპრიზო ადგილები.

2022 წლის დეკემბრის თვეში მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის მე-15 საფესტივალო კვირეულში ,,ფესტივალიდან ფესტივალამდე“ სადაც მონაწილეობა მიიღო 2 მოსწავლემ და შეასრულეს საფორტეპიანო კონცერტები ორკესტრთან ერთად.

2022 წელში ჩატარდა შიგა სასკოლო საახალწლო, დედის დღისადმი მიღვნილი,კლასის,სექციური აკადემიური და ვოკალური კლასის კონცერტები,ღია კარის დღე, ასევე სისტემატიურად ვღებულობთ მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

ა ნ გ ა რ ი შ ი 2023 წლის 6 თვე

მოგახსენებთ,რომ ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის **2023 დამტკიცებული** გეგმა შეადგენს 411700 ლარს. ხოლო შესრულებამ შეადგინა 199083 ლარი . მ.შ სახელფასო ფონდი: 165240 ლარი, კომუნალურის გადასახადები: 24874 ლარი, საზღვარგარეთის მივლინების ხარჯი 3211 ლარი სხვა ხარჯი: 5758ლარი

პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში 2023 წლის ექვს თვეში ირიცხება 276 მოსწავლე.

სამუსიკო სკოლას ჰყავს ისეთი წარჩინებული მოსწავლეები რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ საერთაშორისო ,რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში და ფესტივალებში.

სამუსიკო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესში სისტემატიურად ტარდება სასკოლო ღონისძიებები კლასის კონცერტები,აკადემიური,სექციის, ღია კონცერტები ასევე სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

2023 წლის მარტის თვეში ქ.თბილისში ჩატარდა ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონიას“ მიერ მე-9 საერთაშორის კონკურსი „ნორჩი ვირტუოზი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის შვიდმა მოსწავლემ. რომელთაგან სამმა აიღო პირველი ადგილი. სამმა -მეორე ადგილი და ერთმა - მესამე ადგილი.

ქ.გორში ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნული კონკურს ფესტივალი მომავლის ვარსკვლავები“,რომელშიც მონაწილეობა მიიღო ერთმა მოსწავლემ და აიღო პირველი ადგილი.

ქ.თბილისში ჩატარდა ფესტივალ-კონკურის ,,იპოვე შენი ვარსკვლავი“ სადაც ბორჯომის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებიიდან „ვარსკვლავის“ წოდება მიენიჭა სამუსიკო სკოლის მოსწავლეს ლიზი ხაჩიძეს, „გრანა პრი“ ილია ალთუნაშვილს, ხოლო დამნარჩენ 7 მოსწავლეს პირველი და მეორე ადგილები.

2023 წლის აპრილის თვეში ქ.ზესტაფონში ქართული მუსიკის კონკურსი მე7 ეროვნული კონკურსი სადაც მონაწილეობდა 2 მოსწავლე და ორივე პირველი ადვილი.

ქ.გორში კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნული კონკურს-ფესტივალი ,,მომავლის ვარსკვლავებ სადაც მონაწილეობდა ერთი მოსწავლე.

2023 წლის მაისის თვეში ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-7 ეროვნული კონკურსი ,რომელშიც მონაწილეობა მიიღოა ფოლკლორულ გუნდმა და სამმა ვოკალურმა ანსამბლმა.

ჩეხეთი პრაღა საერთაშორისო კონკურსი ART-DUO რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა მოსწავლემ და გადაინაწილეს პირველი-მეორე საპრიზო ადგილები.

ქ.თბილოსში ანსამბლ ოქტავას მიწვევით გამოსვლა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში

ქ.გორში მე-12 რეგიონალური კონკურსი სადაც მონაწილეობა მიიღო 18 მოსწავლებ და დაჯილდოვდნენ მაღალი საპრიზო ადგილებით და დიპლომებით.

2023წლის ივნისის თვეში ქ. ახალციხეში ჩატარდა ქართული სიმღერის კონკურსი ,,სხვა საქართველო სად არის“სადაც მონაწილეობდა ფოლკლორული გუნდი,ვოკალური ანსამბლი,ერთი სოლო შემსრულებელი.

2023წლი იანვარ-ივნისის თვეში ჩატარდა შიგა სასკოლო საახალწლო, დედის დღისადმი მიღვნილი,კლასის,სექციური აკადემიური და ვოკალური კლასის კონცერტები,ღია კარის დღე, პროფესორ ლია ჭონიშვილის მასტერ კლასი საგუნდო სიმღერაში.

ასევე სისტემატიურად ვღებულობთ მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

მარინა ქიტიაშვილი

ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი